

იმერი ბასილაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაია ახვლედიანი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოფიო მორალიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სწავლების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში -  
„პედაგოგიური რჩევა“**

DOI: 10.52340/erp.2024.05.40

**აბსტრაქტი**

ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ინიციატივითა და ფინანსური დახმარებით 1880 წელს დაარსდა ქართული სათავადაზნაურო სკოლა-გიმნაზია. ქართული სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ეროვნული სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების და მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა.

ეროვნული მისიის შესრულებას სწორი ორგანიზება და მართვა სჭირდებოდა. სკოლა-გიმნაზიაში არსებულ სასწავლო სააღმზრდელო პროცესებს სამზრუნველო კომიტეტთან ერთად სათათბირო ორგანო „პედაგოგიური რჩევა“ უძღვებოდა, რომელიც შედგებოდა სკოლის მასწავლებლებისაგან. აღნიშნულ სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელობდა გიმნაზიის ინსპექტორი. მის მიერ არჩეული მდივანი აწესრიგებდა „პედაგოგიური რჩევის ოქმებს“.

სათათბირო ორგანოში შედიოდნენ სკოლა-გიმნაზიის პედაგოგთა კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის, ქართული სახელმძღვანელოების და ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

საარქივო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ „პედაგოგიურ რჩევას“, როგორც სათათბირო ორგანოს, მეთოდური ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული.

არსებული საარქივო დოკუმენტების ანალიზის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, „პედაგოგიური რჩევა“ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი პრობლემების ფონზე წარმატებულად მართავდა დასავლეთ საქართველოში პირველ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. „პედაგოგიური რჩევა“ პედაგოგიკის თანამედროვე პრინციპებზე აგებდა აღზრდისა და ქართულ ენაზე სწავლების ურთულეს საქმეს. დაარსების პირველი

დღეებიდანვე ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა მომავალ თაობას. მათი მიდგომა ყველა პრობლემური საკითხისადმი იყო შემოქმედებითი და გამოდიოდა მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სკოლის და ქვეყნის ინტერესებიდან.

**საკვანძო სიტყვები:** სათათბირო ორგანო, „პედაგოგიური რჩევა“, დიდაქტიკური პრინციპები, სასწავლო პროგრამები, პედაგოგიური საბჭო

ქუთაისში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში რამდენიმე სასწავლო-საადმინისტრაციო დაწესებულება არსებობდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული საგანმანათლებლო სივრცის განვითარების საქმეში. მათ, შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია, რომელიც არსებობდა 1880-1921 წლებში.

სკოლას სამზრუნველო კომიტეტთან ერთად მართავდა სათათბირო ორგანო „პედაგოგიური რჩევა“, რომელიც შედგებოდა სკოლის მასწავლებლებისაგან. აღნიშნულ სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელობდა გიმნაზიის დირექტორი. ჰყავდა მდივანი, რომელიც აწესრიგებდა „პედაგოგიური რჩევის“ ოქმებს.

სათათბირო ორგანოში შედიოდნენ სკოლა-გიმნაზიის პედაგოგთა კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ „პედაგოგიურ რჩევას“, როგორც სათათბირო ორგანოს, მეთოდური ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. მიუხედავად, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკისა „პედაგოგიური რჩევის“ სათათბირო ორგანოს წევრები ახერხებდნენ პედაგოგიური ცოდნის გავრცელებას და სწავლა-აღზრდის თეორიის პროპაგანდას.

ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება მოკლედ წარმოვიდგინოთ ქართული გიმნაზიის პედაგოგიური რჩევის უფლება მოვალეობები: პედაგოგიური რჩევა მართავდა სხდომას თვეში ერთხელ მაინც. თითოეული საკითხი რჩევისა წყდებოდა ხმის უმეტესობით, თუ ხმათა რიცხვი თანასწორად გაიყოფოდა, მაშინ სავალდებულო გადაწყვეტილებად

ჩაითლებოდა ის აზრი, რომელსაც მხარს თავმჯდომარე დაუჭერდა. კანონიერად ითვლებოდა ის კრება, რომელსაც მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი დაესწრებოდა.

„პედაგოგიური რჩევის“ კრების დროს და განსახილველ საკითხებს რჩევის თავმჯდომარე ირჩევდა. „პედაგოგიური რჩევის“ ყოველ წევრს უფლება ჰქონდა წარედგინა კრებისათვის საკუთარი მოსაზრებანი სწავლა-აღზრდის შესახებ, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად.

„პედაგოგიურ რჩევას“ განსახილველად ევალეობოდა: „ა) თხოვნები სკოლაში შემომსვლელთა. ბ) დადგენა, თუ რომელი მოსწავლე რომელ განყოფილებაში ან კლასში იქნას მიღებული. გ) მოსწავლეთა წარმატების ნიშნები და დადგენა, თუ რომელ კურსდამამთავრებულს უნდა მიეცეს მოწმობა. დ) მოსაზრებანი სწავლა-აღზრდის შესახებ. ე) შედგენა სასწავლო საგნებისა და წერილობითი პროგრამებისა საზოგადო პროგრამის მიხედვით. ვ) ყმაწვილების გადაყვანა ერთის კლასიდან მეორეში წარმატების მიხედვით. ზ) დაბალი აკადემიური მოსწრების ყმაწვილების დათხოვნა სკოლიდან“. (ქ ც ა, ფონდი №9, ანაწერი 1., საქმე № 698, ფურც. 1-5).

ზოგადად „პედაგოგიური რჩევა“ იყო პასუხისმგებელი გიმნაზიის სამზრუნველოსა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წინაშე სწავლისა და აღზრდის საქმეში, ამიტომ „პედაგოგიური რჩევის“ წევრნი ვალდებულნი იყვნენ ძალა და ენერჯია არ დაეზოგათ გიმნაზიაში სწავლა-აღზრდის პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის.

„პედაგოგიური რჩევა“ სისტემატურად განიხილავდა სკოლა - გიმნაზიის სასწავლო გეგმებს, სასწავლო პროგრამებს. შეჰქონდა მასში შესწორებები. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პედაგოგიური რჩევა, როგორც სათათბირო ორგანო დიდი გულისყურით იხილავდა ყველა საკითხს და სკოლა-გიმნაზიის ხელმძღვანელობას წარუდგენდა საქმიან წინადადებებს.

1892 წლის 16 მარტს სკოლა-გიმნაზიის პედაგოგმა თომა მთავრიშვილმა დააყენა საკითხი, რომ მე-3 განყოფილების პროგრამა ვრცელია და პროგრამის ზოგიერთი საკითხის შინაარსი შეუსაბამოა ამ განყოფილების მოსწავლე ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან. რჩევამ განიხილა აღნიშნული საკითხი. გამოყო სპეციალური კომისია

(ქ ც ა, ფონდი 9, საქმე 188, ფურც. 5). კომისიამ იმსჯელა და მიიღო მთავრიშვილის წინადადება. ზოგჯერ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროგრამისა და სახელმძღვანელოს შინაარსი არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, მე-4 განყოფილების პროგრამაში ისეთი საკითხი იყო მითითებული, რომელსაც „ბუნების კარის“ ახალი გამოცემა არ ითვალისწინებდა. როგორც პროფესორი მ. ახვლედიანი წერს, ზოგიერთი მასალა არ გამოდიოდა ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებებიდან (ახვლედიანი 2009: 55). რჩევამ საკითხის შესწავლა მიანდო სკოლა-გიმნაზიის პედაგოგებს: თ. მთავრიშვილს, ს. ხუნდაძეს, ს. დათეშიძეს, ა. გარსევანიშვილს და ვ. ყიფიანს. შერჩეულმა კომისიამ დაადასტურა, რომ სახელმძღვანელოში არ იყო შეტანილი მ. გურიელის „ადამიანი“, „მაისის ღამე“, ილია ჭავჭავაძის „სიმღერა ამხანაგებისა“, დავითაშვილის „მუშის სიმღერა“ და სხვა (ახვლედიანი 2009: 55). რჩევამ დაადგინა, რომ მე-4 განყოფილების მოსწავლეთა ასაკისათვის შეუფერებელია მასალაა გრიგოლ ორბელიანის „განთიადი“, დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ და სხვა. მათ ნაცვლად პროგრამებში შეეტანათ აკაკი წერეთლის „ხარაბუზა და ფუტკარი“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რაფიელ ერისთავის „სამნი ძმანი“. ამდენად „პედაგოგიურ რჩევას“ სკოლა-გიმნაზიაში ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შესაბამისობაში მოჰყავდა სასწავლო პროგრამები და გეგმები. იცავდა სწავლებაში სისტემატურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკურ პრინციპს.

„პედაგოგიური რჩევა“ სისტემატურად განიხილავდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას და წარმატებებს. საკითხი სხდომაზე სისტემატურად გამოჰქონდა სასწავლებლის ინსპექტორს სილოვან ხუნდაძეს, რომელსაც პარალელურად „პედაგოგიური რჩევის“ მდივნის თანამდებობა ეჭირა. გარდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა რჩევა ისმენდა სკოლა-გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ მიღწეულ შედეგებს სხვადასხვა საგნის გამოცდებზე და დახელოვნების კურსებზე. 1895 წლის 30 აგვისტოს სილოვან ხუნდაძის თავმჯდომარეობით განიხილა საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სკოლა-გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის კუთხით (ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი 1, საქმე N 246, ფურც. 3-4).

1901 წლის 14 აპრილს პედაგოგიურმა რჩევამ იმსჯელა სასწავლებელში მოქმედ სახელმძღვანელოთა შესახებ. რჩევის წევრებმა აღნიშნეს, რომ სახელმძღვანელო წიგნებს ბევრი ნაკლი გააჩნია. სილოვან ხუნდაძის წინადადებით, არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გიმნაზიის პედაგოგთა ძალებით შეიქმნას სპეციალური კომისიები სასწავლო საგნების მიხედვით.

რუსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ აზრის შემუშავება და წინადადებების წარმოდგენა დაევა ალ. გარსევანიშვილს და ს. ყიფიანს, ქართულ ენაში - ს. ხუნდაძეს, თ. მთავრიშვილს, ი. ნიკოლეიშვილს, საღვთო რჯულში - ი. აბესაძეს, მ. ჩინჩალაძეს, გ. ცაგარეიშვილს, ისტორიაში ალ. გარსევანიშვილს, გ. ცაგარეიშვილს, ს. ხუნდაძეს. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, კომისიის წევრებმა, დროულად შეასრულეს მათზე დაკისრებული მონაცემები სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელო წიგნები მოიყვანეს შესაბამისობაში (ახვლედიანი 2009: 55). მასალა დალაგებული იქნა ანალიზურ-სინთეზური მეთოდის მიხედვით, მარტივიდან რთულისაკენ.

1901 წლის 1 ივნისის სხდომაზე სასწავლებლის ინსპექტორმა ი. ოცხელმა დასვა საკითხი, რომ გაკვეთილების ხანგრძლივობის გამო პირველი განყოფილების მოსწავლეები შესამჩნევად იღლებიან, მათი ყურადღება იფანტება და ვერ ახდენენ მის მობილიზებას შესასწავლი საკითხის შესასწავლად. მასწავლებელთა გამოცდილებით მტკიცდება - აღნიშნავს სილოვან ხუნდაძე, რომ ბავშვი არ იღლება და უფრო ადვილად ითვისებს სასწავლო მასალას, როცა გაკვეთილების ხანგრძლივობა შემცირებულია. ჩემი აზრით, აღნიშნავს სილოვან ხუნდაძე, უნდა დავეკითხოთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას რომ შევამციროთ გაკვეთილების დრო. მაგალითად 55 წამიანი (წუთიანი) გაკვეთილების ნაცვლად შემოვიღოთ 40 წამიანი (წუთიანი) გაკვეთილები (ახვლედიანი 2009: 56). „პედაგოგიური რჩევის“ წევრებმა მოიწონეს აღნიშნული წინადადება და თხოვნით მიმართეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, ამ საკითხთან დაკავშირებით.

„პედაგოგიური რჩევის“ წევრები მსჯელობდნენ კლასგარეშე საკითხავი წიგნების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი სხდომა ჩატარდა 1906 წლის 19 სექტემბერს. გამოითქვა მოსაზრება, რომ „წიგნების კითხვის საქმე არ არის სკოლა-გიმნაზიაში სასურველ დონეზე

დაყენებული. ვინ რა წიგნს კითხულობს, როგორ კითხულობს და ან, როგორ ითვისებენ წაკითხულს. რჩევამ საჭიროდ ჩათვალა, რომ წინდაწინვე შერჩეული იქნას თითოეული კლასისთვის საუკეთესო წიგნები, როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე. წიგნები უნდა შერჩეულიყო იმ მოცულობითა და თვალსაზრისით, რომ სასწავლო მასალასთან ერთად ის ადვილად დასაძლევია ყოფილიყო და მოსწავლეს შესძლებოდა წაკითხულის გააზრება და გაცნობიერება (ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი №1, საქმე №634, ფურც. 3-4). ამ თვალსაზრისით გამოიყო განსაკუთრებული კომისია ი. ოცხელის თავმჯდომარეობით, კომისიის წევრები იყვნენ. ა. გარსევანიშვილი, გ. ცაგარეიშვილი, ს. რობაქიძე, ს. ყიფიანი და ს. ხუნდაძე. ამრიგად, პედაგოგიური რჩევა ხელს უწყობდა სასწავლებელში მოსწავლეთა აქტივობის ამაღლებას, მასალის შეგნებულად ათვისებას. ამ თვალსაზრისით, „პედაგოგიური რჩევის“ მდივანმა ს. ხუნდაძემ დააყენა საკითხი, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში უფრო მეტი ადგილი უნდა დათმობოდა ბელეტრისტულ ნაწარმოებების წაკითხვას. ისინი უნდა მისცემოდა მოსწავლეებს წასაკითხად და მისი განხილვა და გარჩევა უნდა მომხდარიყო კლასში. მან თავის გამოცდილება გაუზიარა კოლეგა მასწავლებლებს, რომ სრულად პროგრამის ათვისებისათვის ბელეტრისტულ ნაწარმოებებს კლასშივე აკითხებდა რიგრიგობით მოსწავლეებს გაკვეთილის ბოლოს 10-15 წუთის განმავლობაში. სადაც ვახერხებ საჭირო ადგილების ახსნა-განმარტებას. და შემდეგ ვისმენ მოსწავლეთა მოსაზრებებს, როგორ გაიგეს წაკითხული მასალა. ხოლო, რაც შეეხება სენტენციებს, მათი შესწავლა ისეა საჭირო, როგორც ხალხური ანდაზები, რადგან ანდაზები ხალხში ძლიერ არის გავრცელებული. ზოგი პედაგოგი თვლის, რომ თხზულების დასაწერად ბავშვს უნდა მიეცეს დაწვრილებითი მითითება-გეგმა, თუ როგორ უნდა დაწეროს ის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის ყველაფრის დაწვრილებით ახსნა და განმარტება გამოიწვევს მოსწავლის აზროვნების შეკვეცას. მოსწავლემ უნდა იაზროვნოს დამოუკიდებლად და გააკეთოს შეფასება დასკვნების სახით ( ქ ც ა, ფონდი № 9, საქმე №429, ფურც. 38-41).

„პედაგოგიური რჩევა“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასწავლებელში ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამკვიდრებას. 1906 წლის 12 სექტემბერს გამართულ სხდომაზე სილოვან ხუნდაძის წინადადებით შეიქმნა სპეციალური კომისია

მთავრიშვილის, ნიკოლაიშვილის, ყიფიანის, ხუნდაძის და ოცხელის შემადგენლობით. კომისიას დაევალა არითმეტიკაში ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება, ასევე ქართულ ენაზე გეოგრაფიის სახელმძღვანელოს გამოცემა პირველი და მეორე კლასებისათვის (ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი №1 საქმე №634, ფურც. 5). მასწავლებელთა კადრებს რუსულად ჰქონდათ მიღებული განათლება. მათ უჭირდათ ქართულ ენაზე სწავლება, მასალის ქართულად გადაცემა. ასეთ ვითარებაში ქართული გიმნაზიის პედაგოგიური რჩევის ინიციატივა, ჩაღრმავებოდნენ რუსულიდან ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების თარგმნისა და შექმნის საკითხს, დიდ ეროვნულ მიზანს ისახავდა.

„პედაგოგიური რჩევის“ თანადგომითა და მხარდაჭერით ვასილ ყიფიანმა პირველმა თარგმნა ალგებრის სახელმძღვანელო, სილოვან ხუნდაძემ გამოსცა „ქართული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ“, ალექსანდრე ჭიჭინაძემ „მეთოდური მითითებანი გეოგრაფიის სწავლების თაობაზე პირველდაწყებით სკოლაში“ (ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი №1 საქმე №634, ფურც. 8). სახელმძღვანელო წიგნებში მოცემული მასალა დაკავშირებული იქნა ქართულ ყოფასთან და ახლობელი გახდა ქართველი ბავშვებისათვის. სახელმძღვანელოების შექმნისას გათვალისწინებული იქნა პრინციპი მარტივიდან რთულისაკენ სვლა. რამაც განაპირობა, ის რომ სწავლების პროცესში ყურადღება მიექცა შეგნებულობისა და აქტიურობის დიდაქტიკური პრინციპის დანერგვას.

„პედაგოგიური რჩევის“ თანადგომით სკოლის ადმინისტრაცია საზღვარგარეთ აგზავნიდა პედაგოგებს საზღვარგარეთული გამოცდილების მისაღებად, სწავლების მეთოდების გასაცნობად. პედაგოგიური რჩევის წევრმა ალ. გარსევანიშვილმა იმოგზაურა შვეიცარიაში, ფინეთში და, როგორც ირკვევა მიღებული შთაბეჭდილებებიც გაუზიარა კოლეგებს (ახვლედიანი 2009: 57). პედაგოგიურმა რჩევამ გიმნაზიის მასწავლებელს რ. დათეშიძეს დაავალა, რომ მას მოეპოვებინა: 1. საზღვარგარეთის გიმნაზიების ყველა საგნის პროგრამები; 2. საუკეთესო სახელმძღვანელოები გეოგრაფიაში, ისტორიაში, არითმეტიკაში და ბუნებისმეტყველებაში; 3. შეეტყო, თუ რომელი წლიდან იწყებდნენ ახალი ენების სწავლებას; 4. რომელი მეთოდებით ხელმძღვანელობდნენ სწავლების პროცესში; 5. მოეპოვებინა საბერძნეთისა და რომის ისტორიული რუკები (ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი №1, საქმე №734, ფურც. 1).

განსაკუთრებით საყურადღებოა მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელების მიზნით „პედაგოგიური რჩევის“ მიერ გადადგმული ნაბიჯები. 1905 წლის 10 ივნისს რჩევაზე (ოქმი №18) აღინიშნა, მინიმალური რეფორმა არ კმარაო და დაადგინეს:

”1. ყველა საგნის სწავლება ქართულად უნდა იქნეს, ხოლო რუსული უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკული სისტემით, როგორც საგანი. 2. სხვადასხვა საგნის პროგრამები უნდა შეიცვალოს იმ სახით, როგორც ამას ამ სკოლისათვის არჩეული კომისია საჭიროდ დაინახავს”(ქსა, ფ. 9, ს. 580, გვ. 20-21).

იმავე წლის 25 აგვისტოდან სხდომაზე კვლავ რეფორმის შესახებ გაიმართა მსჯელობა. კომისიებმა შემოიტანეს წინადადება ყველა საგანი მშობლიურ ენაზე ისწავლებოდეს, რუსული ენა კი როგორც საგანი III კლასიდან დაემატოსო. ლათინური ენის სწავლებაზე უარი თქვეს, საღვთო სჯულისათვის განკუთვნილი საათები შეამცირეს (თითო კლასში – თითო გაკვეთილი). დაადგინეს, ამ გეგმის შესახებ სამზრუნველო კომიტეტს დავეკითხოთ, სადაც მოხერხდება პედაგოგთა ეროვნული კადრებით დაკომპლექტება, ვასწავლოთ ქართულად, სადაც არა – რუსულადო, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს საკითხი შეეთანხმებინათ თავადაზნაურთა კრებისათვის (გიმნაზია ხომ მათი კერძო სასწავლებელი იყო).

1907 წლის 22 მაისს პედაგოგიურ რჩევაზე ისევ აღიძრა საკითხი გიმნაზიაში საგნების ქართულად სწავლების შესახებ. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავდა, დავიცვათ ჭეშმარიტი პედაგოგიური მოთხოვნა, რომელიც აღიარებს სწავლა-განათლების საქმის სამშობლო ენაზე წარმართვის აუცილებლობას. ”არ მივხედოთ ზოგიერთ უფლებებს (მაგ. რუსეთის უნივერსიტეტში შესასვლელი ატესტატის მიღების უფლებას) ვიდრე ეს უფლებები შევირჩინოთ – და უცხო ენაზე სწავლება, ჩვენი მოზარდი თაობის გონების დამახინჯება განვადგინოთ. თუ ვინცობაა მთავრობა ჩვენს მოსწავლეებს ატესტატის მიღების უფლებას არ მისცემს, იმ შემთხვევაში მშობლებს შეუძლიათ – შვილები საზღვარგარეთ გაგზავნონ და განათლება მიაღებინონო”(ქსა, ფ. 9, ს. 580).

ბევრი მასწავლებელი, ცხოვრების პრაქტიკიდან გამომდინარე, შიშობდა, რომ ეროვნული განათლებით ცხოვრებაში ფეხს ვერ მოიკიდებდა მომავალი თაობა. მიუხედავად წინააღმდეგობისა პედსაბჭომ 1908 წლის 5 ნოემბერს კვლავ იმსჯელა სწავლების მშობლიურ ენაზე განხორციელების შესახებ და გადაწყვიტა, ყველა საგანი ესწავლებინათ მშობლიურ



ენაზე, გარდა რუსული ენისა და ლიტერატურისა, რუსეთის ისტორიის და რუსეთის გეოგრაფიისა, საკითხს დავსვამთ და მთავრობა დაგვთანხმდებაო, სჯეროდა ბევრს. ცნობების შეგროვება ამ საკითხზე მიენდო პედაგოგთა ჯგუფს, იგი უნდა წარდგენოდა თავადაზნაურთა წარმომადგენლობას.

რჩევის მსჯელობის საგნად ხშირად იყო ქცეული პედაგოგთა და აღსაზრდელთა დატვირთვა. ყოველდღე მე-2 კლასში 6-6 გაკვეთილი ტარდება. უჭირთ მოსწავლეებს, გადატვირთულები არიანო და რჩევამ დაადგინა: ისე მოეწყოს გაკვეთილები, რომ დღეში 3-4 საგანი ექნეს მოსწავლეს მოსამზადებელი და მეტი არა. გაკვეთილების ამ პრინციპით განაწილება დაევალებათ პედაგოგებს: ა. იოსელიანს, ს. ოცხელს, ს. ხუნდაძეს. მოსწავლეთა გადატვირთვის თაობაზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ ლათინური ენა საჭირო იყო მათთვის, ვინც გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში რუსეთში აპირებდა გამოცდების ჩაბარებას. დაადგინეს, მე-5 კლასიდან დაეწყოთ ლათინური ენის სწავლება და არა ყველასათვის სავალდებულოდ (ქსა, ფ. 9, ს. 580).

„პედაგოგიურმა რჩევამ“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თვალსაჩინოების დანერგვას სწავლების პროცესში, რომელიც გრძნობად აღქმას ეფუძნებოდა. კონკრეტულიდან განყენებულისაკენ, წარმოდგენიდან აზრისაკენ. კარგად იყო გაცნობიერებული, კომენსკის ხედვა, რომ სახელმძღვანელო ცოდნის ძლიერ წყაროს წარმოადგენდა და რომ ის უნდა აგებულიყო თვალსაჩინოების პრინციპზე. ზემოთთქმულის დადასტურებას წარმოადგენს, ისიც რომ ქუთაისის რეალურმა სასწავლებელმა და ქართულმა გიმნაზიამ შექმნეს ერთობლივი სასწავლო სახელოსნო, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თეორიის პრაქტიკაში გამოყენების პრინციპს.

სილოვან ხუნდაძე მოუწოდებდა გიმნაზიის პედაგოგებს, რომ დიდი დრო არ დაეთმოთ ახალი მასალის ახსნისათვის, მეტი დრო გაკვეთილისა გამოყენებით პრაქტიკული მეცადინეობისათვის, მოსწავლეთა მეხსიერებაში განვლილი ფაქტების აღდგენისათვის, შედარების მეთოდის გამოყენების საშუალებით, ძველი და ახალი მასალის ანალიზისა და ბოლოს დასკვნების გაკეთებისათვის.

„პედაგოგიური რჩევის“ ზრუნვის ობიექტს წარმოადგენდა გიმნაზიის მოსწავლე. საარქივო მასალები ნათლად მეტყველებენ, თუ როგორი ყურადღებითაა გარემოსილი

ცალკეული მოსწავლე. ინდივიდუალურია მათდამი მასწავლებელთა მიდგომა, დამოკიდებულება. რაც იმაზე მეტყველებს, რომ „პედაგოგიური რჩევის“ წევრებს არც ერთი დეტალი არ რჩებოდათ განუხჯელი. ისინი განიხილავდნენ მოსწავლეთა სოციალურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებს, ყოფაქცევას, აკადემიურ მოსწრებას, რა შეძლების მშობლები ჰყავდათ და ა. შ. (ახვლედიანი 2009:59).

„პედაგოგიური რჩევა“ კლასის ხელმძღვანელებისგან ითხოვდა, სცოდნოდა მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობები, ჩვევები (ბავშვის ქცევა მაშინვე ეცნობებოდა ოჯახს), მიდრეკილებები, გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის პოტენციალი. ზემოთთქმული მეტყველებს იმაზე, რომ „პედაგოგიურ რჩევას“, გიმნაზიის მთელ კოლექტივს გაცნობიერებული ჰქონდა აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობის პრინციპი, რაც ხელს უწყობდა სწავლებისა და აღზრდის პროცესის მაღალ დონეზე დაყენებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

„პედაგოგიური რჩევის“ მსჯელობის საგანს ხშირად წარმოადგენდა პედაგოგთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის საკითხი. 1906 წლის 11 ივნისს შედგა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის „პედაგოგიური რჩევის“ სხდომა. სხდომაზე იმსჯელეს გიმნაზიის მასწავლებელთა საჭიროებების შესახებ. სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ: სახელმწიფო სასწავლებლებში მიღებულია, ყოველ მასწავლებელს მიემატოს ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირის მეხუთედი. ჩვენი სასწავლებელი ოცდა ექვსი წელიწადია არსებობს და სკოლას დღემდე არც ერთი მასწავლებლისათვის არ მიუმატებია ჯამაგირი დიდის ხნის სამსახურებისათვის. კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ რამოდენიმეთ მაინც დაუახლოვდეს ჩვენი მასწავლებლების მდგომარეობა და პირობები სახელმწიფო სასწავლებლის მასწავლებლების მდგომარეობასთან და პირობებთან. „პედაგოგიური რჩევა“ შუამდგომლობს გიმნაზიის კომიტეტის წინაშე, რომ ჩვენს მასწავლებლებს მიემატოს ჯამაგირის ერთი მეხუთედი, ნაცვლად ხუთის წლის სამსახურებისა, ათი წლის სამსახურებისათვის მაინც, თუმცა ბევრს მასწავლებელს სამსახურობა მიუძღვის არა ნაკლებ 20-25 წლისა. ამის და მიხედვით უნდა მოემატოს ჯამაგირის მეხუთედი 160 მანეთი ყოველ წლიურად (ქ ც ა, ფონდი 9, საქმე №634, ფურც. 8).

სილოვან ხუნდაძეს „პედაგოგიურ რჩევასთან“ მჭიდრო ურთიერთობა, მხოლოდ იმიტომ კი არ ჰქონდა, რომ ის მისი მუდმივი მდივანი და წევრი იყო, არამედ როგორც სკოლის ინსპექტორსაც. კერძოდ, მისი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, რომელიც განსაზღვრული იყო წესდებით, ევალუბოდა: უნდა შეედგინა საგაკვეთილო ცხრილი და წარედგინა „პედაგოგიური რჩევისათვის“; გაკვეთილებზე დასწრების შედეგები თვეში ერთხელ მაინც წარედგინა „პედაგოგიური რჩევისათვის“; პროგრამების შედგენა-გადამუშავება და „პედაგოგიური რჩევისათვის“ განსახილველად წარდგენა; გამოცდების დანიშვნა და „პედაგოგიური რჩევისათვის“ შეთანხმება; სკოლის მიერ გაწეული წლიური ანგარიშის შედგენა, პედაგოგიურ რჩევასთან წარდგენა და შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გადაგზავნა (ქ ც ა, ფონდი 9, საქმე №698, ფურც. 6).

ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის „პედაგოგიური რჩევა, როგორც სათათბირო ორგანო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გიმნაზიაში პედაგოგიური და მეთოდური მუშაობის კუთხით. „პედაგოგიური რჩევის“ მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე: პედაგოგები ადგენდნენ სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, შესწორებები შეჰქონდათ ადრე არსებულ ანალოგიურ დოკუმენტებში. ქმნიდნენ და თარგმნიდნენ სახელმძღვანელოებს. იცავდნენ და ნერგავდნენ სწავლების პროცესში სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებს. გამორიცხავდნენ, რომ მოსწავლეს არ უნდა მიწოდებოდა ისეთი მასალა, რომელიც აღემატებოდა მის გონებრივ შესაძლებლობებს. სწავლების პროცესში იცავდნენ ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. უარყოფილი იქნა მასალის პასიურად, მექანიკურად დამახსოვრება. აქტიურად იყენებდნენ ექსკურსიას და შრომას, როგორც სწავლების მეთოდს. ცდილობდა ქართული ეროვნული სულის გაღვივებას მოსწავლეებში აღზრდისა და სწავლების მეთოდების გამოყენებით. მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლების მიზნით აძლევდნენ სტიპენდიას, რეკომენდაციას შემდგომი სწავლის გაგრძელების მიზნით, ახალისებდნენ საქალაქო პრესის ფურცლებზე. დისციპლინური სასჯელის ფორმად გამოყენებული იყო მსუბუქი ფორმები.

თანამედროვე საჯარო სკოლებისათვის სკოლა-გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის მსაგავს ფუნქციას თვითმმართველობის უმაღლესი, არჩევითი (3 წლით) ორგანო, სამეურვეო საბჭო ასრულებს. იგი შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს თანაბარი

რაოდენობის და ზოგადი და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთი წარმომადგენლისაგან. მას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც წელიწადში სამჯერ მაინც იწვევს სხდომებს. თავმჯდომარე წარმოადგენს სკოლას დირექტორთან ურთიერთობებში და თანაბარი ხმების შემთხვევაში მისი ხმა გადაწყვეტია. სამეურვეო საბჭოს ფუნქციებია: დირექტორის არჩევა, მის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშის და სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება. საბჭო განკარგავს სკოლის შინაგანაწესს, ფინანსებს და სასკოლო ქონებას. განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას. ეთანხმება პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, გრიფინიჭებული, სახელმძღვანელოების ნუსხის, მიღებას.

სკოლა-გიმნაზიაში მოქმედი „პედაგოგიური რჩევის“ ფუნციას თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პედაგოგიური საბჭოები ითავსებს. მასში მსგავსად სკოლა-გიმნაზიისა ყველა მასწავლებელი მონაწილეობს თანაბარი ხმის უფლებით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც 3 წლის ვადით ირჩევა წარმართავს საბჭოს სხდომებს. მსგავსად სკოლა გინაზიისა იგი ქმნის ცელკეულ სამუშაო ჯგუფებს შესაბამისი დავალებების შესასრულებლად.

პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით ესგ-ს შესაბამისად შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო (საჭიროებისას ინდივიდუალურ) სასწავლო გეგმებს, სასწავლო მასალას და სახელმძღვანელოების ნუსხას. ირჩევს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორს და მის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში.

თანამედროვე საჯარო სკოლების აღნიშნული თვითმმართველობის ორგანოების მიზნები და ფუნქციები სახელმწიფო საკანონმდებლო დოკუმენტებით არის გაწერილი და გაკონტროლებული. არსებული საარქივო დოკუმენტების ანალიზის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა-გიმნაზიის ინსპექტორებისა და პედაგოგების მიერ ამოქმედებული „პედაგოგიური რჩევა“ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი პრობლემების ფონზე წარმატებულად მართავდა დასავლეთ საქართველოში პირველ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. „პედაგოგიური რჩევა“ პედაგოგიკის თანამედროვე პრინციპებზე აგებდა აღზრდისა და ქართულ ენაზე სწავლების ურთულეს საქმეს.

დაარსების პირველი დღეებიდანვე ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა მომავალ თაობას. მათი მიდგომა ყველა პრობლემური საკითხისადმი იყო შემოქმედებითი და გამოდიოდა მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სკოლის და ქვეყნის ინტერესებიდან. სკოლა-გიმნაზიამ ქვეყანას აღუზარდა თაობა, რომელმაც განაპირობა ქართული პროგრესული აზრის და ქვეყნის განვითარება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ახვლედიანი 2009: ახვლედიანი მ., ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია XIX – XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქუთაისი, 2009.
- ქ ც ა, ფონდი 9, საქმე 188, ფურც. 5.
- ქ ც ა, ფონდი 9, საქმე №698, ფურც. 6.
- ქ ც ა, ფონდი 9, საქმე №634, ფურც. 8.
- ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი №1 საქმე №734, ფურც. 1.
- ქ ც ა, ფონდი № 9, საქმე №429, ფურც. 38-41.
- ქ ც ა, ფონდი 9, ანაწერი 1, საქმე N 246, ფურც. 3-4.
- ხუნდაძე ტ., (1976). ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბილისი.

**Imeri Basiladze**  
Akaki Tsereteli State University  
**Maia Akhvlediani**  
Akaki Tsereteli State University  
**Sophio Moralishvili**  
Akaki Tsereteli State University

### **Teaching organization and methodology in Kutaisi State Nobelman High School- Gymnasium – “Pedagogical Advice”**

#### **Abstract**

In 1880, The Kutaisi nobleman-land-bank Georgian State Nobelman High School- Gymnasium was founded on the initiative and financial assistance of the bank. To implement the Georgian educational process, it was necessary to create national educational programs, textbooks, and scientific terminology.

The fulfillment of the national mission required proper organization and management. The teaching and educational processes in the school-gymnasium were led by the advisory "Pedagogical Advice ", which consisted of school teachers and the care committee. The gymnasium inspector led the said deliberative. The secretary was chosen by him to organize the "Pedagogical Advice" protocols.

The deliberative included the best representatives of the teaching collective of the school gymnasium who made a special contribution to the development of Georgian scientific terminology, Georgian textbooks, and Georgian pedagogical thinking.

Studying the archival materials reveals that the "Pedagogical Advice" as a deliberative had a methodological function as well.

Based on the analysis of existing archival documents, it can be safely said that "Pedagogical Advice" successfully managed the first Georgian educational institution in western Georgia despite the background of the problems characteristic of that era. "Pedagogical Advice " was administrating the most difficult task of education and teaching in the Georgian language based on the modern principles of pedagogy. From the first days of its establishment, it raised the next generation with a national spirit. Their approach to all problematic issues was creative and based on the interests of students, teachers, school and country.